"ყველის გზა"

კულტურული ყველის მარშრუტის მიმოხილვა

კახეთი ცნობილია ტრადიციული ყველის საოცარი მრავალფეროვნებით. დაუმატეთ ამას შესანიშნავი ამინდი, კარგი ღვინო, ულამაზესი პეიზაჟები და აუცილებლად მოინდომებთ ერთერთ (თუ არა ყველა) გასტრონომიულ თავგადასავალში მონაწილეობის მიღებას!

ყველის გზა გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას დააგემოვნოთ ტრადიციული ყველი მისი წარმოების ადგილზე, გაიცნოთ ის ადამიანები, რომლებიც ტრადიციული ყველის დამზადების ხელოვნების ერთგულნი არიან და გაიგოთ თუ რა ხდის ამ ყველს ასე უნიკალურს!

არ იცით რომელ ტურზე შეაჩეროთ არჩევანი? არასწორი არჩევანი უბრალოდ არარსებობს, გპირდებით!

ტურების მოკლე მიმოხილვა:

ორდღიანი ტური - ყველის მოყვარულთათვის, მათთვის ვისაც არც თუ ისე ბევრი დრო აქვთ

I დღე - გამგზავრება თბილისიდან ალავერდში (საჭიროებისამებრ) და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, ალავერდის მონასტერი

დღე II - ზემო და ქვემო ალვანი, ილტოს ხეობა

ან

დღე II - სანახაობრივი პანკისის ხეობა

სამდღიანი ტური - ყველისა და მთის მოყვარულთათვის, მათთვის, ვისაც ცოტა მეტი დრო აქვთ ხელთ

I დღე - მოგზაურობა თბილისიდან ალავერდში (საჭიროებისამებრ) და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, ალავერდის მონასტერი

დღე II - ზემო და ქვემო ალვანი, ილტოს ხეობა

III დღე - პანკისის ხეობა

ხუთდღიანი ტური – ყველის მოყვარულთათვის და მათთვის, ვისაც სიმაღლე არ აშინებს

I დღე - გამგაზვრება თბილისიდან ალავერდში (საჭიროებისამებრ) და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, ალავერდის მონასტერი

დღეები II-IV- თუშეთი (II და III დღის რამოდენიმე ვარიანტით)

ორდღიანი და ხუთდღიანი ტურის კომბინაცია - ყველის მცოდნეებისთვის

სამდღიანი და ხუთდღიანი ტურის კომბინაცია - სრული ტური ჩემპიონთათვის

დღე I

საუზმის შემდეგ გავემგზავრებით თბილისიდან გომბორის უღელტეხილის გავლით ისტორიულ სოფელ ალავერდში-მათთვის, ვინც თავგადასავლებს თბილისიდან იწყებს

ლურჯ ალავერდ-ში დავბინავდებით და გავეცნობით შერჩეული მარშრუტის დეტალურ განრიგს. დავიწყებთ სამაცივრე ოთახის დათვალიერებით, რომელიც ადგილობრივი ყველის დამზადების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; შემდეგ, გველის ლურჯის ალავერდის ძირითადი საქმიანობების მიმოხილვა, ასევე დავათვალიერებთ ხარისხიანი ყველის წარმოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან სადემონსტრაციოა ცხოველების სადგამს.

მივირთმევთ ლანჩს და ჩვენი შემდეგი გაჩერება იქნება ალავერდის მონასტერი და საკათედრო ტაძარი - ერთ-ერთი ულამაზესი და სიდიდით მეორე საკათედრო ტაძარი საქართველოში და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი.

ალავერდის მონასტერს, რომელიც საქართველოს VI საუკუნიდან ამშვენებს, დაარსებულია იოსებ ალავერდელის მიერ (ერთ-ერთი 13 ასურელი მამათაგანი). ის მდებარეობს ალაზნის ველზე, კავკასიონის ქედის ფონზე, რომელიც მუდმივი თოვლით არის დაფარული. ალავერდის მონასტერი საქართველოს უდიდეს ეკლესიად ითვლებოდა მანამდე, სანამ სამების საკათედრო ტაძარი აიგებოდა. ალავერდის მონასტერი გამოირჩევა იმითაც, რომ აქ დაკრძალულნი არიან კახეთის მეფენი: ალექსანდრე I, ალექსანდრე II, თეიმურაზ I, აგრეთვე აქ დასვენებულია ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი. აქვეა განსაკუთრებული სამარხიც, რომელსაც არქეოლოგებმა 2009 წლის დეკემბერში მიაკვლიეს, ის ტაძრის ჩრდილოეთ კედელშია მოთავსებული და გამოყოფილია მწვანე ქვის ზოლით, ვარაუდობენ, რომ ეს საფლავი ტაძრის დამაარსებლის - იოსებ ალავერდელის უნდა იყოს. როცა კახეთს შაჰ აბასი შემოესია, მეფე თეიმურაზ I-მა ალავერდის ტაძრის ხატები სვეტიცხოველში გაგზავნა შესანახად. ეს ხატები ალავერდს დაუბრუნა თეიმურაზის შვილიშვილმა - ერეკლე მეორემ. XVI საუკუნეში იგი აღადგინა კახეთის მეფე ალექსანდრე პირველმა. მოგვიანებით კახეთის მეფე ლევანმა შეაკეთა მიწისძვრით დაზიანებული გუმბათი. სამხრეთის მკლავის კედლებზე შემორჩენილია XV-XVI საუკუნეების, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე XVI-XVII საუკუნეების ფრესკები. ალავერდში ასევე ყოველწლიურად იმართება ტაძრის დღეობა ,,ალავერდობა" ამას თან ახლავს სახალხო დღესასწაული.

მონასტერში ვიზიტის შემდეგ დავბრუნდებით ლურჯ ალავერდში.

დღე II (ვარიანტი I-ქვემო და ზემო ალვანი და ილტოს ხეობა)

საუზმის შემდეგ ვეწვევით ხათუნა სვიმონიშვილის ფერმას ულამაზეს სოფელ საბუეში. მასპინძელი მოგვითხრობს ფერმის ძირითად საქმიანობაზე. მოგვეცემა შესაძლებლობა მივიღოთ მონაწილეობა ან უბრალოდ თვალი ვადევნოთ დამბალ ხაჭოს დამზადების პროცესს.

ჩვენი შემდეგი გაჩერება იქნება კვეტერას ეკლესია.

კვეტერა ისტორიული ციხე-ქალაქია მდინარე ილტოს მარჯვენა ნაპირზე. ციხე-ქალაქის კომპლექსის შემადგენლობაში შედის: შიდა ციხე, ქვედა ციხე, გალავანი, სასახლე, დარბაზული ეკლესია და მთავარი ღირსშესანიშნაობა გუმბათოვანი ეკლესია.

წყაროებში პირველად კვირიკე III-ის მეფობის (1010-1037) დროიდან, XI საუკუნის I ნახევრიდან იხსენიება, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში უნდა არსებულიყო. იყო კახეთის სამთავროს (შემდეგ სამეფოს) ერთ-ერთი ცენტრი. საქალაქო ცხოვრების კვალი XIII საუკუნიდან ისპობა და შემდეგ წყაროებში იგი აღარ იხსენიება.

1968 წელს კვეტერაში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. გათხრებმა გამოავლინა დარბაზული ეკლესიის ნაშთი, ასევე დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს შუა საუკუნეების ჭურჭელი და სხვა, რომელიც ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში. 2007 წლის 24 ოქტომბრიდან კვეტერის ციხე-ქალაქი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

ჩვენი შემდეგი მასპინძელი ზემო ალვანში სოფო ბელადიძე იქნება. ის მოგვითხრობს მისი მეურნეობის ძირითად საქმიანობაზე და გვიამბობს რძის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ. შეგვეძლებათვალი ვადევნოთ – ან მივიღოთ მონაწილეობა – ძროხის მოწველაში, მაწვნის შეყენაბასა და ადგილობრივი ყველის დამზადების პროცესში; უგემრიელესი ყველის დაგემოვნების შემდეგ დავბრუნდებით ლურჯ ალავერდში, ვისადილებთ და დავისვენებთ შთაბეჭდილებებით დატვირთული დღის შემდეგ.

დღე II (ვარიანტი II-პანკისი) ან დღე III

ჩვენი მოგზაურობა დაიწყება დილის 9:00 საათზე და პირველი გაჩერება იქნება ზანდა გამიაშვილის ფერმა კუწახტაში. ჩვენ შევისწავლით ფერმას და ფერმის აქტივობებში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ ყველის და ხაჭოს დამზადებაში ჩართულობა მასპინძლის ხელმძღვანელობით.

ფერმის ტური ასევე მოიცავს ადგილობრივი ხელნაკეთი ფშავ-ხევსურული ტრადიციული სამოსისა და აქსესუარების დათვალიერებას. ასევე დავაგემოვნებთ ტრადიციულ ოსურ კერძებს.

სახალისო კულინარიული მასტერკლას მოწყობა შესაძლებელია წინასწარი მოთხოვნით.

შემდეგ, ჩვენ გვაქვს ორი საინტერესო ვარიანტი:

ჩვენ შეგვიძლია გავემგზავროთ ბელა მუთოშვილთან სოფელ ჯოყოლოში, სადაც ბელა მოგვიწყობს მოკლე ტურს, რასაც მოჰყვება კულინარიული მასტერკლასი. ასევე შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ კარაქის დამზადების პროცესში. ბელასთან ლანჩის შემდეგ მსურველებს ექნებათ ცხენებით გასეირნების შესაძლებლობა ულამაზეს პანკისის ხეობაში.

ან

ვესტუმრებით აზა ხანგოშვილს სოფელ დუისში. აზა მოგვითხრობს ფერმის ძირითადი საქმიანობის შესახებ, შეგვეძლება ჩავერთოთ ყველის დამზადებაში და მონაწილეობა მიიღოთ აზას კულინარიულ მასტერკლასში.

პანკისის ხეობაში ცხენებით გასეირნება კვლავ დღის წესრიგშია აზასთან ლანჩის შემდეგ.

შემდეგ დავბრუნდებით ლურჯ ალავერდში.

დღე IV (თუშეთი)

ჩვენი მოგზაურობა დილის 7:00 საათზე დაიწყება, რადგან წინ გველის 5-საათიანი გზა ულამაზესი თუშეთისკენ. თუშეთი გამორჩეულია ულამაზესი ალპური მდელოებითა და საუცხოოდ შემონახული ფიქვნარი ტყეებით, ტებულოს, დიკლოს და ბორბალოს დიდებული მწვერვალებით. თუშეთში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლები, უძველესი ნასოფლარები, ხალხური ხელსაქმის ნიმუშები, ყოფითი კულტურის ნივთები. აქ გარემომცველ ისტორიულ-კულტურულ ლანდშაფტებთან ერთად დაცულია ტრადიციები და მოსახლეობის ყოფითი წეს-ჩვეულებები.

ჩვენი პირველი გაჩერება იქნება სოფელ ომალოს ფერმაში. ჩვენ დავაგემოვნებთ ტრადიციულ მთიულურ სამზარეულოს ადგილობრივ კაფე "ხავიწში" და შემდეგ გავემგზავრებით სოფელ დართლოში ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

შემდეგ დავბინავდებით ომალოს მახლობლად მდებარე სასტუმრო მირგველაში, რათა დავისვენოთ ხანგრძლივი და თავგადასავლებით სავსე დღის შემდეგ.

დღე V (თუშეთი, I ვარიანტი)

თავგადასავლები იწყება ძალიან ადრე, დილის 06:00 საათზე გავემგზავრებით სოფელ დიკლოში. ვეწვევით დევი ბუცუნაიძეს მის ფერმაში, სადაც მოგეცემათ შესაძლებლობა გამოსცადოთ თქვენი ძალები ცხვრის მოწველასა და თხის ყველის დამზადებაში

ჩვენი შემდეგი გაჩერებაა ციხე დიკლო, რომელიც სოფ. დიკლოს აღმოსავლეთითაა, სოფლიდან ორიოდე კმ-ის მანძილზე. სამანქანო გზა სოფ. დილკოსთან წყდება. აქედან კი, ნასოფლარისაკენ საცალფეხო ბილიკი მიემართება.

შემდეგ ვესტუმრებით დიკლოში მცხოვრებ უხუცესს ქალბატონს - უსაყვარლეს მაშო ბებოს - იგი ლანჩით გაგვიმასპინძლდება და ქსოვისა და ქარგვის გაკვეთილსაც ჩაგვიტარებს.

ჩვენი შემდეგი გაჩერება იქნება წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც მე-19 საუკუნეში აშენდა პატარა სოფელ შენაქოს გარეუბანში.

შენაქოს შემდეგ დავბრუნდებით სასტუმროში სადილისთვის და დამსახურებული დასვენებისთვის.

დღე V (თუშეთი, მეორე ვარიანტი)

საუზმის შემდეგ 8:00 საათზე დავიწყებთ ჩვენს დღეს წოვათის ხეობის დათვალიერებით. წოვათა თუშეთის ერთ-ერთი ისტორიული თემია, ალაზნის სათავეში. ხეობაში შვიდი სოფელი იყო: წარო, ინდურთა, ეთელთა, საგირთა, შავწყალა, მოზართა და ნადირთა. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 1886 წლისთვის, წოვათის ხეობის მხოლოდ 4 სოფელი ყოფილა დასახლებული - წარო, ინდურთა, ეთელთა და საგირთა. სულ 1533 ადამიანს უცხოვრია (337 ოჯახი). ნასოფლარი წარო, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, განადგურების პირას არის.

ჩვენი შემდეგი დანიშნულების ადგილი იქნება პაატა ქოქორიშვილისა და მართა ბექურიძის ფერმა.

ეს იქნება სახალისო და ინფორმაციული ვიზიტი. ჩვენ გვექნება საშუალება დავეხმაროთ მასპინძლებს ცხოველების მოვლაში და მივიღოთ მონაწილეობა ყველის დამზადებაში. ასევე დავათვალიერებთ ყველის შესანახ ნაგებობას - ბუნებრივ მაცივარს.

იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ დღე, შემდეგ მოვინახულებთ წოვათას თემში შემავალი სხვა სოფლების ნანგრევებს - ინდურთა, ეთელთა, საგირთა, მოზართა, სადაც შეგვიძლია ვიხილოთ უძველესი დამწერლობის ნიშნები - პიქტოგრამები და დავტკბეთ ულამაზესი ხედებით.

შემდეგ დავბინავდებით ერთ-ერთ ახლომდებარე სასტუმროში - ჯვარბოსელში ან ილიურთაში.

VI დღე (საცხენოსნო ტური -პირველი ვარიანტი)

ეს დღე იწყება ადრე - დილის 5:00 საათზე გავემგზავრებით მანქანით სოფელ ილიურთამდე. იქედან კი , ცხენებით ან ფეხით გავაგრძლებთ გზას ჩვენს პირველ დანიშნულების ადგილამდე - სოფელ ვესტომამდე. ვეწვევით გიორგი ყარსამაულს, რომელიც შემოგთავაზებთ სხვადასხვა აქტივობებს- ძროხისა და ცხვრის მოწველას, ყველის ამოღებას, კალტის მოთბობას. შემდეგ გადავალთ ჩვენი მასპინძლის აგროტურისტულ მეურნეობაში მოკლე ტურისა და უგემრიელესი ლანჩისთვის.

უკანა გზაზე გავჩერდებით ილიურთას წმინდა გიორგის ეკლესიაში, შემდეგ კი დავბრუნდებით სასტუმრო მირგველაში და ამით დავასრულებთ ამ დატვირთულ დღეს.

VI დღე (საცხენოსნო ტური - მეორე ვარიანტი)

მირგველაში საუზმის შემდეგ გავემგზავრებით ომალოში, შემდეგ კი ცხენებით გავეშურებით ორეთის ტბისაკენ, სადაც გიორგი იჭირაული გაგვიმასპინძლდება თავის ფერმაში. გიორგი მოგვითხრობს ფერმის ძირითად საქმიანობაზე, თქვენ კი შეგიძლებათ თვალი ადევნოთ ან მონაწილეობა მიიღოთ ფერმის აქტივობებში. გიორგისთან ლანჩის შემდეგ, ისევ ომალოს გავლით, დავბრუნდებით სასტუმროში.

დღე VII

შექმენით თქვენი საკუთარი მარშრუტი!

გვიამბეთ თუ რა იქნებოდა თქვენთვის საინტერესო და ჩვენ დაგიგეგმავთ კიდევ ერთ შთაბეჭდილებებით დატვირთულ დღეს!

დღე VIII

ალავერდში დაბრუნების დროა. გზად შევჩერდებით საჭმელად და გავაკეთებთ რამდენიმე „ფოტო გაჩერებას“.

ყველაფერი რაც თქვენ დაგრჩენიათ არის თარიღების შერჩევა!

ზოგადი წესები და პირობები

ტურის ღირებულება

ღირებულება ერთ მონაწილეზე არის 200 აშშ დოლარი დღეში

ძირითადი მოთხოვნები

მონაწილეთა რაოდენობა: მინიმალური 3 სტუმარი და მაქსიმალური 6 სტუმარი

თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს სამოგზაურო დაზღვევა, რომელიც ძალაში იქნება ტურის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში

ტურის ღირებულება მოიცავს:

განთავსება კახეთში

ტრანსპორტირება ალავერდიდან ალავერდამდე

საუზმე, სადილი

პირადი გიდი

ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და აქტივობები (მასტერკლასების ჩათვლით)

ცხენებით გასეირნება (ტურის შესაბამისად)

ტურთან დაკავშირებული სხვა გადასახადები

საჭიროებისამებრ:

ტრანსპორტირება: თბილისიდან თბილისამდე

ტურის ღირებულება არ მოიცავს:

სამოგზაურო დაზღვევა

განთავსება თბილისში

საღამოს კვება

თბილისიდან/კენ ტრანსპორტირება

ფრენის ბილეთები

რჩევები

1. განსაზღვრეთ თარიღები

2. განსაზღვრეთ მონაწილეების რაოდენობა თქვენს ჯგუფში

3. აირჩიეთ ტური

4. მოგვწერეთ დეტალები. ჩვენ მოგაწვდით ფასს. არ დაგავიწყდეთ გადაამოწმოთ მიმდინარე აქციები

ყველა ტარიფი შეიძლება შეიცვალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე

დაჯავშნის მოთხოვნა განიხილება, როგორც თანხმობა თქვენი შეკვეთის დასამუშავებლად საჭირო პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე